

გზითი... კომისია... წყლის

საქართველოს პარლამენტის ბიულეტენი

ქართული ჟურნალისტიკა

წელიწადი პირველი.

პარლამენტში ყველა შეხვედრა, უპირობოდ!

# ქვეყნა

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის მდივან-პირველი ო. რ. ვ. ნ. ო.

**რედაქცია:** დრ. ნოთაგებულაძე — ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორექტივები და განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს აშხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილებაში)

პირადად მოლაპარაკება რედაქციის პას. მგ. მდივან აშხ. ვ. ნადარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უძველესების დღის 11-დან ნაშვ. 2 საათამდე) ტელეფონით — განათლების განყოფილებაში

№ 11      პირა 8 ივლისი, 1923 წ.      ყოველ-კვირული გაზეთი      ღირსი 40.000 მან.      № 11

## წითელი საპარო ფლოტი.

„Лети над золотом розью,  
Над степью выжженной лети!  
Снега, болота, бездорожье  
Тебе не преградят пути.  
Где небо хмурится сурово,  
Где раб не раггибд плеча,  
Ты понесешь живое слово,  
Письмо, газету и врача“.

Л. Никулин („Крокодил“) Москва.

წითელი საპარო ფლოტი! წითელი საპარო ფლოტის გაშენება! ავიაციის (პერეზე ფრენა) განვითარება!

ი რა გაისმის მოსკოვის და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში, აი საითკენ გადადგას ნაბიჯი საბჭოთა რესპუბლიკებში!

კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მთელი მეცნიერება და ტექნიკა დაიმორჩილეს. მეცნიერებას და ტექნიკას კაპიტალისტები იყენებენ ადამიანთა ამოსაყვრელად, კაცობრიობის გასანადგურებლად, მოსაწამლავად და ქვეყნის დასანგრევად. მე-20-ე საუკუნე ტექნიკის უაღრესად განვითარების და ახალ-ახალი გამოგონების საუკუნეა. მაგრამ, ვიმეორებ, მეცნიერებას და ტექნიკას კაპიტალისტთა კლასი იყენებს თავისი შავი ზრახვების განსახორციელებლად და არა მშრომელთა კლასის საკეთილდღეოდ და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აბა რა არის ათასწილი სხვა და სხვა მსოფლიო ყომაზების გამოგონება, გამოგონება მხრჩოლავ გაზეთის, რომელსაც ბურჟუაზია ამზადებს მეტად საქველმოქმედო დაწესებულებებში — ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში ბურჟუაზიამ არ დასტოვა ზღვის ძირი, ბურჟუაზია მიფრინავს ზეცისაკენ; მაგრამ რისთვის, რისთვის ყოველივე ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ გადასწვას მთელი სამყარო, მღულარე გადასახს ყველას, ვინც მას არ ემორჩილება, ვინც მას ახალ-შენებში ეცილება, ვინც ამ „წყურულ“ რევოლუციას აწყობს.

ასეთია ბუნება და მისწრაფება კაპიტალისტთა კლასის.

სულ სხვა მოვლენას ვხედავთ საბჭოთა პარლამენტულ რესპუბლიკებში აქ ყოველი მეცნიერება, ყოველი ახალი გამოგონება მიმართულია ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად ასაყვავებლად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოსკოვში თავიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ავიაციის განვითარებას, პერეზელანის ახალი სისტემის გამოგონებას. ამ ბოლო დროს მუშაობა ამ დარგში უკვე აღწევს თავის მიზანს. ეს მოსკოვში. თბილისშიც ბოლო დროს დაწყებულ იქნა ამ მხრივ მუშაობა (იხილეთ გაზ. „ზარია ვასტაკა“-ში აშხ. ვგორავის წერილები და მოხსენებები). აქ უნდა ამუშავდეს პერეზელანის

## საქმიანო-სააგარაკო საკითხის შესახებ სენაკის მაზრაში.

ძნელი მოსაპირებელია ისეთი მხარე, რომელიც ბუნებრივად წარმოადგენს მრავალ-ფეროვან სურათს. მით უფრო ძნელი წარმოსადგენია ისეთი კუთხე, რომლის სხვა და სხვა კუნძულებში მოიპოვებოდა სხვა და სხვა განძი, ბუნებრივად იქნება ეს უკანასკნელი თუ ხელოვნურად შექმნილი, და იტაცებდეს თავისკენ არა იმიტომ მარტო, რომ დააკმაყოფილოს ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილება, არამედ აღმოუჩინოს სარგებლობა, რომელიც საჭიროა იარაღთა საბრძოლველად ცხოვრებასთან და უმთავრესად კი ჯანმრთელობის დასაცავად და შესანახად. ვინც კარგათ იცნობს სენაკის მაზრას, ან აწი ვინც გაიცნობს, ის კარგათ დაინახავს იმთვისებებს ამა კუთხისას, რომლებიც სამართლიანად იზიდავენ თავისკენ ყურადღებას მხატვრებისა, ეთნოგრაფებისა, ბუნების მეტყველთა და სხვა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რას წარმოადგენს თითქმის ყოველგან ერთნაირად ნოყიერი მიწა სენაკის მაზრისა მუშაკისათვის, რომელიც არჩენს არა მარტო თავის ოჯახს, არამედ მთელს მაზრას და უთმობს ნაწილს გარეშე მაზრებს და ქალაქებს. მით უფრო ზედმეტია ლაპარაკი ამ მაზრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სპეციალურ დარგში მომუშავე ექიმთათვის, რომლებიც დღე და ღამ ერთმანეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეძლებისა და გვარად, პარამიუნალ სწევენ სამსახურს, მძიმეს და მეტად პასუხსაგებს სინდისის და კაცობრიობის ჯანმრთელობის წინაშე. თანამედროვე ერობი რთულ პირობებში. გონებრივი და სამეცნიერო ძალა, რომელიც საჭიროა ჯანმრთელობის საკითხის მოსაწესრიგებლად მაზრაში, შეძლებისა და გვარად მოხმარებულია: არ არის ისეთი კუთხე — უბანი სადაც არ იყოს მიწვედნილი ექიმური დახმარება. როგორც მთებთან, მიუწვდომელ ადგილებში, ისე დაბლობებში თანასწორათ განაწილებულია საექიმო — სანიტარული ძალები. არ ვგაბათობთ იმის შესახებ, რომ არ იყოს საჭირო კიდევ უფრო ფართოდ დახმარება. ასეა თუ ისე, ჩვენი საჭირო ძალები, მათი და მაზრის საშვლებებით ასეთ ვებერთელა კუთხეში თავ-განწირულად იბრძვიან სასტიკ ბატონ-სნეულლებებთან, როგორცაა: მალიარია და ტუბერკულოზი (კოეხა, ქლეტი). ჩვენ კარგათ ვიცით, კიდევ რა მრავალი მუშაობა საჭიროა მაზრის ჯანმრთელობის საკითხების ირგვლივ და თუ რა გვაქვია. ეს იმიტომ კი არაა, რომ ყურადღებას არ ვაქცევდეთ. არა, ამის მიზეზები კი მარტივია და ერთობ საბატო, — და სწო-

რეთ ასეთი განცდის დროს სენაკის მაზრის მომხმარებელ ბუნებას გაუღიამავს ჯანმრთელობა მოკლებულ ადამიანებისთვისაც და თავის მრავალ ადგილებში აღმოუჩენია მათთვის სამკურნალო საშვლებანი. მათ შორის ჯერ-ჯერობით უპირველესი ადგილი უჭირავს შემდეგ ადგილებს: ნოქალაქებს, ლებარდეს, და ჩეგოლას (თეთრი მთა). ამ სამს ადგილს აქვს თავისი დიდი ხნის ისტორიული წარსული. ისინი ძველს დროშივე ითვლებოდნენ სააგარაკო ადგილებად, რომლებსაც იცნობდა განსაზღვრული რიცხვი მაზრის მცხოვრებლებებისა და რომლებსაც არ აძლევდნენ დიდ მნიშვნელობას. დღეს დღეობით კი, როდესაც განვითარება გაფართოვდა და მოთხოვნილებასაც კი მოემატა იმის მიხედვით, რომ მკურნე პირები (ექიმები, მეცნიერები) გაცვენენ ამ ადგილებს, მათი დანიშნულებაც დიდ მნიშვნელოვანი შეიქმნა. ყოველ წლებით, განსაკუთრებით კი 1918 წლიდან, უფრო მეტი რიცხვი ავთიმყოფებისა მიიღტვის იმათკენ, აფასებს მათ ძლიერებას და ეს იმიტომ, რომ ნამდვილადაც ხედავს იმაში სარგებლობას. დიდა მოთხოვნილება, დიდა ინტერესი და მით უფრო მეტია სარგებლობა, და სწორეთ ამიტომ მაზრის ხელისუფლებამ მოანდომა მთელი თავისი ძალდონე იმას, რომ მისაწვდომი ყოფილიყვნენ ეს ადგილები და მოეწესრიგებინა პირობები იქ ცხოვრებისა მოაგარაკეთათვის. მან სრულიად შეაკეთა ხიდი ტეხურზე, აბანოებთან, — და არავითარ საშიშროებას ის ახლა არ წარმოადგენს; აგრეთვე ბეჯითად შეაკეთა აბანოებში ჩასასვლელი კიბეები; შეაკეთა სახლეში-სადგომები, გააკეთა საშხარეულო: ჰყავს დანიშნული ფერშაბილი აბანოებზე, ხოლო ექიმი მოსიარულეთა მახლობელ პუნქტიდან ყოველ დღე. მოაგარაკეთა დამცველ ძალებზე ზედმეტია ლაპარაკი სახლების რიცხვი 30-მდე ახწევს. ნოქალაქების აბანოები რიცხვით ოთხია. ყველას აქვს ერთნაირი ღირსების წყარო (нейтрально-щелочная вода) და სპეციალისტების დაკვირვებით მათში ბანაობას და სამუდამოდ ხმარებას მოაქვს დიდი სარგებლობა რევმატიზმით (ქარბით) და კუჭ-ნაწლევების ავთიმყოფობით შეპყრობილთათვის. ამას თუ იმასაც დავსძენთ, რომ აბანოები მდებარეობენ მალად მთიან ადგილებზე, საიდანაც იშლება თვალწარმტაცი ბუნება, ცხადი იქნება, რომ მათი მნიშვნელობა გაორკვეებულია ავთიმყოფის დასუსტებულ ფსიქიკაზედაც კეთილ მოქმედებანი გვლენით. ყველა სასობით უცქერის და ტკე-

ბა იმ ბუნებრივით სურათი, რომელიც შეუქმნია ლეგენდარულ გამმოცემით მდინარე ტეხურს. მდინარის ვიწრო განი 1—1½ არმინამდის „ღეღამიკა“.

მეორე და მესამე სააგარაკო ადგილი, სახელწოდებით „ჩეგოლა“ (თეთრი მთა) და „ლებარდეს“ და ცილებულნი არიან ქ. ახალ-სენაკიდან 105 ვერსტის მანძილით. მისაგალი გზა-ტყეცილის — ბოლო, მესამედი გზისა წარმოადგენს ბილიკს, ერთხელ ვიწროს და საშიშს; ასე იყო დღემდის. დღეს კი მაზრის ხელისუფლებამ მოანდომა დიდძალი ენერჯია და ხარჯი და ეს სახიფათო გზა გაფართოვა; შეაკეთა ხიდები ისე, რომ მოხსენებულ აგარაკებამდის გზა სრულიათ თავისუფალია. ერთმანეთ შორის ეს ორი სააგარაკო პუნქტები დაცილებულთა რვა ვერსტით. გარშემო ლებარდესა ყოველგან ფიქვნარია და მრავალ-მხრივ უვლის მკიერ მდინარეები, რომლებიც განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევენ ისედაც სიმშვენიერით გასაგიებლოს ან აფერადებულს მდებარეობას.

წყაროები მრავალია. წყალი განსაკუთრებით კარგათ მოქმედებს ქუების, კუჭის და ნაწლევების ავთიმყოფებზე, აგრეთვე სისხლწაკლულოვანებზე. „ჩეგოლა“ (თეთრი მთა) მდებარეობს შორს უფრო მაღლა ლებარდესზე. აქაც სანახაობის სიმშვენიერე აუწყრელია: მრავალ-მხრივ მდამოების ჩანჩქრები, კავკასიის ქედის სიმშვენიერით მოსილნი გრებილები, გასაგიებელი სუფთა ჰაერი და სხვა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ავთიმყოფს რამოდენიმე დღის ყოფნის შემდეგ იკრძნოს გრძელული მოქმედება ავთიმყოფობაზე. როგორც ლებარდეს, ისე მით უფრო „ჩეგოლა“ განსაკუთრებულ სამსახურს უწევს სუსტ ფილტვებთან ავთიმყოფებს, სისხლწაკლულოვანთ და მალიარით შეპყრობილთ. თვით ჩეგოლაზედ ფოთლებიანი ტყეებია, ფიქვნარი კი 1½ ვერსტით არის დაცილებული. წყაროები იყოფა სამ ჯგუფად; ყოველ ჯგუფს აქვს სხვა და სხვა დანიშნულება, თუმცაღა ავთიმყოფები სიამოვნებით ხმარობენ მას სასმელად და არავითარი ცუდი გავლენა მათ არ ემჩნევათ. პირველი ჯგუფი იძლევა წყალს მუცლისთვის სასაქმებელ მნიშვნელობით, მეორე ეთანაბრება ესენტუკის და ნარზანის წყლებს და მესამე კი (ბანაობის შემდეგ) დიდ სამსახურს უწევს კანის ავთიმყოფებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ რვა ვერსტით დაცილებით ლებარდესზე არის აგარაკი, სახელად „კემლა-კესარ“ რომელსაც აქვს თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება. მისი წყალის ღირსება შორის გადაპარბებს ნარზანისას და ესენტუკისას.

მეტად საჭიროა აქვე, ამ სქემ-

გ. ნ.

ტაურ მიმოხილვაში, აწერილ იქნეს დაწერილებით ქიმიური შემადგენლობა წყლებისა, მაგრამ ამას ამჟამად ვერ ვკისრულობთ, რადგანაც ჩვენს განკარგულებაში ამ წამს არ იმყოფება ის საბუთები, რომლებიც ამის შესახებ გადაღვენი ავტორიტეტულ ცნობებს, შეკრებილთ რაზდენიმე წლის უკან სპეციალისტების მიერ დიდა ენერჯის გაწვეით და მოწოდებით. ვეცდებით ეს დანაკლისი შევეფასოთ უახლეს მომავალში.

ბოლოს და ბოლოს მეტად სასურველად მიგვაჩნია, რომ ამ ჩვენს სენაკის მხარის მიექცეოდეს თავით საზოგადოების მხრივ უფრო მეტი ყურადღება, რომ ცნობილ იქნას

ზემო აწერილი დიდ მნიშვნელოვანი კურორტები, რომლებიც მართლაც იმდენს უმართლებენ იმათ, ვინც მთიან ხსნას და შევლის მოვლიან. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მხარის ხელისუფლება მომავალში უფრო თავიანთად გულუხვად და სიყვარულით მიეგებება ყველას, მსურველთ, როგორც შინაურებს, ისე გარეეთ და ვაულებს მათ კარებს თავის კალთქითი კუთხისა: ჯანმრთელობის დასაცავად.

სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებას წარმომადგენელი ექიმი ანდრია მკურანალი.  
5 ივლისი 1923 წ.  
ქ. ახალ-სენაკი.

შენ ამდენს იხდები წარსულ წლებში თქო, მაშინ მეტრე მისცემს უპირატესობას ამ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

ახლა მე განვიმარტავთ თქვენ-ვის იხდის მთლიან გადასახადს, როგორი შეიძლება კიდევ გადასახადები და სხვა და სხვა. გადასახადს იხდის, როგორც ანის თვით სახელწოდება — სასოფლო-სამეურნეო გადასახადი — გვიჩვენებს, მხოლოდ მიწის მუშა, ვინც მიწას ამუშავებს და მოყავს მოსავალი. შეიძლება იყოს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობა მიწაზე — ესენიც იხდიან.

იხდის აგრეთვე სოფლის წვრილი ვაჭარიც, თუკი იგი იმავე დროს ამუშავებს მიწას. სასოფლო-სამეურნეო დარგს ეკუთვნის მეჯოგეობაც, მაგრამ მეჯოგეებს ამ გადასახადს ჩვენ ვერ დავაწერთ, ვინაიდან ისინი არ ამუშავებენ მიწას.

როგორი შეიძლება იქნეს კიდევ გადასახადი? თქვენ იცით, რომ სოფელს, თემს აქვს სამეურნეო და სადამინისტრაციო ხარჯები; ყველაფერს ამას უნდა დაფარვა; ამ გადასახადებს ეწოდება საორგანიზაციო-სადამინისტრაციო გადასახადი. ეს გადასახადი სავსებით უნდა შევიდეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში, რომლის შესახებ იქნება შემუშავებული კიდევ კანონმდებლობა ამას გარდა არავითარი გადასახადის გაწერა გლახე, არ შეიძლება. ამის უფლება არაგის აქვს, ვინც ამას შენიშნული იქნება, ის უსათუოდ მიეცემა სასტატკ მასების გეგმაში.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდა შეიძლება პური, ან ხაშინდით და აგრეთვე ფულითაც. ეს თვით მასების სურვილზეა დამოკიდებული და აგრეთვე იმ რაიონზე, რომლის მდებარეობა და მეტრეობა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. როგორც ვიცით, რუსეთში 38 გუბ. იხდის ნატურით — პური, მეორე 38-კი ფულით და ასე. ჩვენ მივიღებთ ინსტრუქცია გამოგვეყვია, როგორ სურს ჩვენი მხარის გლეხებს-სიმინდით თუ ფულით. ჩვენ გაგზავნეთ ჩვენი ამხანაგები თემებში, მოვაწყვეთ იქ მიტინგები; გლეხებმა ზოგან სიმინდით ისურვეს გადახდა, ზოგან-კი ფულით.

მაგრამ დღეს ვღებულობთ გაზეთს, სადაც ლაპარაკია, თუ რით უნდა იქნეს გადახდილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელს საქართველოში: უკვე გადაუწყვეტილთ, საქ. აღმასრულებელი კომიტეტის მე IV სესიას) რომ მთელს საქართველოში ეს გადასახადი იქნეს გადახდილი მხოლოდ ფულით. ეს დადგინეს ჩვენმა ამხანაგებმა — ყველა მხარის წარმომადგენლებმა და, რასაკვირველია, ეს დადგენილება ჩვენ უნდა განვახორციელოთ ცხვერებაში.

ახლა-ვის კრფის ამ გადასახადს? სადაც გადახდა სწარმოებს მარტო ფულით, იქ ამას ჰკრფებს ფინანსთა სახანო კომისარიატი, ხოლო იქ-კი, სადაც გადახდა სწარმოებს სურსათით (ნატურით) ან და სურსათითაც და ფულითაც, გადასახადს ჰკრფებს სასურსათო კომისარიატი. ნატურით გადახდა ნაწილობრივ სწარმოებს მხოლოდ იმით, რომ მთავრობისკაყავაზე (სურსათით) იმყოფება დაახლოებით 2 1/2 000000 მდე სული, მაგალითად: წითელი ჯარი, საბავშვო ბაღები, საავთმყოფოები და სხვა. წინედ, 1921 წ. მთავრობის კაყავაზე იმყოფებოდა დაახლოებით 35,000,000-მდე სული და ამიტომაც ქონდა ასეთი ფართე ხასიათი სასურსათო გადასახადს (სიმინდი, პური, ყველი, ლობიო, კვერცხი, თაფლი, თხილი და სხვა) ახლა კი, როგორც გ'თხარით, ეს 35 მილიონი დაყვანილია 2 1/2 მილიონამდე, რის გამოც ნაწილობრივ არის დარჩენილი გადასახადი სურსათის სახით (მხოლოდ მარტო პური ან სიმინდი) მაგრამ გასოვდეთ, ამხანაგებო, რომ გადასახადი შეიძლება ან პურით ან სიმინდით, ან ფულით; დანარჩენი-კი (ყველი, თაფლი, ლობიო, კვერცხები, ზეთი, თხილი, თივა და სხვა ასეთი) მოსაზრებითაა.

რაც შეეხება გადასახადის გაწერას ამა თუ იმ სოფლის მეურნეზე, აქ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შემდეგი: 1) რაოდენობა სახანო-სათესი მიწისა და სათიბი ადგილისა, 2) რაოდენობა საშუალო და მსხილ რქიანი პირუტყვებისა. 3) მოსავლიანობა პურისა და თივისა დესტრინზე 4) მკამელთა რაოდენობა (და 5) შრომის უნარის მქონის რაოდენობა. პირუტყვზე გადასახადი ასეა: გადასახადი უნდა იქნას გადახდილი მხოლოდ მსხილ საქონელზე, რომლისაც 1922 წლის პირველ აპრილიდან შეუსრულდა წელიწად ნახევარი. გადასახადისაგან და აღსუსხვისაგან თავისუფლდები: ცხვარი, თხა, ლორი და სხვა. თუ რომელი ხარისხს უნდა მივაკუთნოთ ეს თუ ის მხარა, ამზე ცენტრს ინფორმაციას აწვდის მხარა. ცენტრი შემდეგ სწყვეტს რომელ ხარისხს (კატეგორიას) უნდა მიეკუთნოს ეს თუ ის მხარა გადასახადების დროს საერთოდ არის შეღავათები. შეღავათები არის უმთავრესად პირველ რიგში სამეურნეო ხასიათის. გადასახადისაგან თავისუფლდებიან: 1) ის მოვლანი, რომელზედაც მოშენებულია კარგი ჯიშის (კულტურული) სათესლე მცენარეები 2) უფარვისი მიწები, რომლებიც არ იძლევიან მოსავალს, მაგრამ ამა თუ იმ სოფლის მეურნის მეოხებით იგი გამოიხრებულ ვანოყიერებულ იქნა (მუშა ამასი დახარჯა შრომა, გამოიჩინა უნარი და ენერჯია), ასეთი მიწები თავისუფლდებიან გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში. ამას გარდა ის მიწები, რომლებიც წარმომადგენდენ ქაობებს და ამოშრობილ იქნენ 1920, 1921 და 1922 წ.წ. განმავლობაში, თავისუფლდებიან გადასახადისაგან 10%-ით. იყო შემთხვევები დამშვივისა 1921 წელში; ასეთი ადგილი, თუ მიწა იძლევა ნახევარზე ნაკლებ მოსავალს, თავისუფლდება 10%-ით, ხოლო თუ მოსავალი სიშუალოა 20%-ით. თავისუფლდებიან გადასახადისაგან წითელ, არმიელთა ოჯახები, თუ-კი მათ ოჯახში არ ყავთ შრომის უნარის მქონე. თავისუფლდებიან ოჯახები სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულნი, ტყვეთ ჩაყარნილ წითელ-არმიელებისა. ოჯახები მილიციონერებისა სარგებლობენ იმავე შეღავათით, როგორითაც სარგებლობენ ნაძვილი სამსახურში მყოფი წითელ-არმიელები.

თავისუფლდებიან ურთიერთ შორის დამხარე კომიტეტის მიერ და შემუშავებული მიწები, რომლის შემოსავალი უნდა გადაეცეს კომიტეტს. როგორც ხედავთ, შეღავათი

დაახლოებით 1922 წელში შესცვალა ე. წ. სასურსათო გადასახადში. ეს უკანასკნელი მდგომარეობა იმაში, რომ გლეხი თავის ზედმეტი ნაწარმოების ნაწილს აძლევდა მთავრობას, ნაწილი-კი გაქონდა მხარეში. ახლა ამ ბოროტ დროს სასურსათო გადასახადი ჩაბარდა ისტორიას, საქმე ექცეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან. ამ გადასახადს აქვს ბევრი უპირატესობა დანარჩენ ორ ზემოდ დახასიათებულ გადასახადებთან. პირველად, კარგი მხარე მდგომარეობს შემდეგში: მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს მეორეს ეძლევა საშუალება გახდეს სრული ბატონი და პატრონი თავის შრომის ნაყოფისა. საბჭოთა ხელისუფლება მიწის მუშას მხოლოდ აუწყებს — ამ წლის განმავლობაში შენ ვალდებული ხარ შეიტანო საერთო სახელმწიფო ქვებში ამდენი, დანარჩენი თუ გინდ გაყიდე, თუ გინდა გაასაჩუქრე. გადახდა შეიძლება, ვინდ ფულით, ვინდ ნატურით — სრული თავისუფლება მიწის მუშისათვის როგორც უნდა ისე მოინებაროს მთელი თავისი მშრომის ნაყოფი, ეს არის პირველი, ეს არის ერთი კარგი მნიშვნელობა ახალი დეკრეტისა. ეს ერთი, მეორე გაწერის დროს მიწის მუშა არამც თუ მიწის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, არამედ მეურნეობისადმი იჩენდა გულ-გრილობას და მიწის მეურნეობას ამცირებდა.

მე მქონდა აქ ლაპარაკი საორგანიზაციო-სადამინისტრაციო ხარჯებზე. შეიძლება ბევრმა იფიქრა, რომ გადასახადი ორგანიზაციო. არაფერი მაგის მსგავსი არ არის. გადასახადი ერთი — მთლიანი სასოფლო-სამეურნეო, რომელშიაც შედის ყველაფერი: სასოფლო, საავთმყოფისი, ხიდების, გზების და სხვა საჭიროების დასაფარავათ. ახლა ისმება საკითხი, თუ რამდენჯერ იკრებება გადასახადი წელიწადში? შეიძლება ერთი და იგივე გადასახადი ნაწილობრივ გადაიხადოს გლეხმა 3-4 ჯერ წელიწადში, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის აქვს გლეხს ფული, პური. ან სიმინდი. დასასრულ არ იქნება მეტი, რომ გავგვით თუ რა უპირატესობები აქვს ახალ გადასახადს, რისთვისაც საჭიროა შევადაროთ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დღემდე არსებულ გადასახადებს. გაწერის დროს მიწის მუშას არ ქონდა უფლება, როგორც უნდოდა ისე მოეხმარა თავისი შრომის ნაყოფი. ეს იყო დაბეგრვა. მთავრობა იძლეოდა მაგარ ფასებს. აი ამ მაგარ ფასებში გლეხებს ჩამოართვედნენ ყველაფერს, რაც მას აუცილებელი საჭიროებაზე მეტი ჰქონდა; გლეხს არ ქონდა უფლება მხარეში გაეტანა თავის ნაწარმოები; მასთან გადასახადი იყო, როგორც ეს ზევით მოვიხსენიეთ, არა მარტო სიმინდზე, ან პურზე, არამედ ყოველ კარგ ნაწარმოებზე (თაფლი, ყველი კარბი, ხორცი, ლობიო, მუხტლო გავში და სხვა.) ერთი სიტყვით — სვე იყო: გაწერდნენ ვითასახადს გლეხსაც (პირდაპირ დაბეგრავდნენ) და ამ უკანასკნელს უნდა გადაეხადა იგი, ქონდა თუ არ ქონდა.

ეს გადასახადი 1922 წელში შესცვალა ე. წ. სასურსათო გადასახადში. ეს უკანასკნელი მდგომარეობა იმაში, რომ გლეხი თავის ზედმეტი ნაწარმოების ნაწილს აძლევდა მთავრობას, ნაწილი-კი გაქონდა მხარეში. ახლა ამ ბოროტ დროს სასურსათო გადასახადი ჩაბარდა ისტორიას, საქმე ექცეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან. ამ გადასახადს აქვს ბევრი უპირატესობა დანარჩენ ორ ზემოდ დახასიათებულ გადასახადებთან. პირველად, კარგი მხარე მდგომარეობს შემდეგში: მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს მეორეს ეძლევა საშუალება გახდეს სრული ბატონი და პატრონი თავის შრომის ნაყოფისა. საბჭოთა ხელისუფლება მიწის მუშას მხოლოდ აუწყებს — ამ წლის განმავლობაში შენ ვალდებული ხარ შეიტანო საერთო სახელმწიფო ქვებში ამდენი, დანარჩენი თუ გინდ გაყიდე, თუ გინდა გაასაჩუქრე. გადახდა შეიძლება, ვინდ ფულით, ვინდ ნატურით — სრული თავისუფლება მიწის მუშისათვის როგორც უნდა ისე მოინებაროს მთელი თავისი მშრომის ნაყოფი, ეს არის პირველი, ეს არის ერთი კარგი მნიშვნელობა ახალი დეკრეტისა. ეს ერთი, მეორე გაწერის დროს მიწის მუშა არამც თუ მიწის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, არამედ მეურნეობისადმი იჩენდა გულ-გრილობას და მიწის მეურნეობას ამცირებდა.

მთლიანი სასურსათო გადასახადის დროს მიწის მუშა იძულებული იყო მოეკიდა ხელი იმ მეურნეობისათვის, რის ნაყოფს სახელმწიფო ითხო-

## აბს. მ. ბელიას მოხსენება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ამხანაგებო! საკითხი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, არ შეიძლება ისტორიულად, რომ არის მეტად მძიმე და რთული.

თქვენ გასოვთ ალბათ ახალი ეკონომიური პოლიტიკა; ისიც გასოვთ, თუ რამდენ ხანს გრძელდება ამათი გარშემო კამათი, სანამ საკითხი ყოველ მხრივ იქნებოდა ამოწურული. მე არ შევადარებ აბს. პოლიტიკას და სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უმთავრეს, საკითხი არის რთული და ამიტომ მოვითხოვ ამდენს დროს ყურადღებას. ეს ერთი-მეორე შეკითხვას და კამათის კარგს მიაღწევს მსურველ მოწაწილეთა, რათა არ დარჩეს გაუგებარი ადგილი და საკითხზე ყველა თქვენთაგანს ჰქონდეს სრული წარმოდგენა და შემდეგ შეიძლოს აუხსნას ყველას, ვისთანაც და სადაც ეს დასაქირდება.

ამხანაგებო! დღემდე არც აქ, საქართველოში, და არც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არ იყო შემოღებული მთლიანი საგადასახადო სისტემა. იყო შემოღებული სხვა და სხვა სახის გადასახადები, მაგალითად: სასურსათო გადასახადი — სურსათით, ნატურით, იყო სახელმწიფო, სამოქალაქო, სამაზრო, სასოფლო, საავთმო გადასახადი ფულით, ადგილობრივი ხელისუფლებები ხშირად ბოროტად ხმარობდნენ თავიანთი მდგომარეობით და უფლებებით და აწერდნენ გლეხს აუარებელ გადასახადს, არ შედიოდნენ იმის განხილვაში, შეიძლო თუ არა ეს გლეხს, ან იყო თუ არა გადასახადის აკრფის დრო შეფარდებული შემოსავლის დროსთან და სხვა. ყოველივე ეს სოფლის გლეხებში იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას.

არც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით შეიძლება მოიხსნას გადასახადის ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილება; მაგრამ შეიძლება უკმაყოფილების ცოტათი მაინც შემცირება. არ შეიძლება ამ უკმაყოფილების საფხებით და სრულიად მოსპობა იმით, რომ გადასახადი, რა დანიშნულებაც არ უნდა ჰქონდეს მას, მაინც გადასახადია და ის არ არის ბენდიერება მეურნისათვის. ყველაფერი ეს კარგათ ესმის და იცის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებ-

ბამ. მაგრამ, თუ არა გადასახადების შემოღებით, რით უნდა დაიფაროს ის სურვილი გასაგადი, რომელიც სახელმწიფოს აქვს, თუ მას არ ექნება შესაფერის შემოსავალი.

თქვენ ალბათ იცით, ამხანაგებო, რომ საბჭოთა მთავრობას აქვს სურვილი გასაგადი სახელმწიფო ამპარტის შესახად. ამიტომ საქმე ისი უნდა მოეწყოს, რომ ყოველივე შემოსავალი დაფაროს გასაგადი. ახლა იხადება კითხვა: რა და რა შემოსავლის წყაროება აქვს სახელმწიფოს? თუ არ მივიღებთ ანგარიშში ვინისის, რომელიც ხელს უწყობს ფილოს კურსის ღირებულების დაცვას, იმ შემთხვევაში შემოსავლის წყაროები არის შემდეგი: 1) გადასახადები 2) შემოსავალი სახელმწიფო წარმოებიდან და ქონებებიდან. დიდს მსხვილ შემოსავალს სახელმწიფოს წარმოებიდან ჩვენ არ უნდა მოველოდეთ, რადგან ჯერ სამი წლის იმპერიალისტური ომის მიერ და შემდეგ ოთხი წლის სამოქალაქო ომის მიერ დანგრეულია და ახლა მოყავთ მოძრაობაში და მოქმედებაში წარმოება. ამიტომ ამჟამად, უნდა გამოვტყდეთ, და ვსთქვათ რომ მთავარი წყარო ჩვენი შემოსავლისა არის გადასახადები. გადახდა რსე უნდა მოგაწყობთ, რომ ეს გადასახადი თავისი რაოდენობით იყოს ნაკლები და მისმა გადახდებმა იცოდეს რამდენს ახთვეინებს მას სახელმწიფო მთელი წლის განმავლობაში. ამ მხრით ჩვენი ახალი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უპასუხებს ამ მოთხოვნებს. ის ერთია; ერთიანი აპარატი ახთვეინებდეს იქნება ამ გადასახადს. ის ეუბნება გლეხს: „აი შენ ამდენი და ამდენი უნდა გადახადო მთელი წლის განმავლობაში. დანარჩენ ყოველგვარ გადასახადსაგან კი თავისუფალი ხარო.“ შესაძლებელია, დასაშვებია და მოსალოდნელიც, რომ, როდესაც მეურნეს ერთად მიუვა გადასახადი, ამა დაფართოს, იგი ბევრად მოეწონება და შეიძლება ამათაც გამოიწვიოს გლეხებში უკმაყოფილება; მაგრამ თქვენ უნარი სწორედ აქ უნდა გამოიჩინოთ: თქვენ უნდა მაშინათვე გლეხს მოავლოთ ის გადასახადები, რომელიც მას შექონდა წარსული წლების განმავლობაში (სწორი სტატისტიკური ცნობა) და უთხრათ „აი

ვდა სურსათის სახით. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს მიწის მუშას ეძლევა სრული თავისუფლება მოკლდის ხელი და აწარმოოს ის კულტურული მეურნეობა, რომელიც მას ემარჯვება, ეხერხება და ურჩევნია.

დათვისებს იმას რასაც მეტი ფასი და მეტი მოთხოვნილება ექნება ზაზარში.

კულტურული მეურნეობის თავისუფლად არჩევა, აი მეორე მნიშვნელობა მთლიანია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტისა. მეს.მე. ვაჭრის და ერთიანი სასურსათო გადასახადის დროს მანეთის კურსი, მანეთის ფასი, მანეთის ღირებულება თან და თან ეცემოდა და უკანასკნელი წლის განმავლობაში მიწის მუშა შეწყობებულა მით, რომ ძალაზე დაეცა სიმინდის ფასი. გადავითვლიეროთ, რას მოგვიტანს ამ შემთხვევაში მთლიანი სამეურნეო გადასახადი. დიდი ნაწილი გადასახადისა საბჭოთა ხაზინაში შევა არა პურით და სიმინდით არამედ ფულით. ამით საბჭოთა მთავრობას მიეცემა საშუალება ძალზე შეამციროს ემისია, ე. ი. ახალი ფულის გამოშვება, რის შემდეგ ფულის ღირებულება არ დაეცემა. როდესაც მთავრობამ მოხსნა ულუფის სურსათით კმაყოფილად 32 1/2 მილიონი მოსამსახურე სახელმწიფოსაგან, ეს მოსამსახურეები იძულებულნი არიან იყიდონ პური და სიმინდი მიწის მეურნეობისაგან, რითაც სიმინდზე მოთხოვნილება იზრდება და ამით სიმინდზე ფასიც მოიზატებს.

ამ ნაირად, ამხანაგებო, ფულით გადასახადზე გადასვლით ქალაქში მატულობს მოთხოვნილება სოფლის ნაწარმოებზე, სოფელში მატულობს მოთხოვნილება ქალაქის ნაწარმოებზე.

ეზზე. ყოველივე ამით მოეწყობა უფრო სწორი და ფართე საქონლის გაცემა სოფელსა და ქალაქს შორის. ეს მოგვეცემს საშუალებას გავათანასწოროთ ფასები სოფლის და ქალაქის ნაწარმოებზე, საქონლებზე, ეს არის მეოთხე მნიშვნელობა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სხვა და სხვა.

ამხანაგებო! როგორც მოისმინეთ, ჩვენს წინაშე წამოჭრილი ამოცანა თავისი შინაარსით და დანიშნულებით არ არის პატარა, არ არის იოლი. ეს მართალია, ამის უარის ყოფა არ შეიძლება. არ შეიძლება უარის ყოფა იმისაც, რომ საკითხი არის ისეთი სიფრთხილით და წინდახედულობით გადაჭრილი, რომ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ გლეხის მეურნეობის გადასვლა ნატურ გადასახადისაგან ფულით გადასახადზე მოუტანს გლეხს მხოლოდ სარგებლობას.

დღეს სოფელი ჩაგარდნილია მძიმე, აუტანელ მდგომარეობაში; ის ითხოვს ხსნას და შევლას; ეს თხოვნა, ეს სურვილი უჩვეულად უნდა დაკმაყოფილდეს. მთლიანი სამეურნეო გადასახადის საკითხის დადგენითა და მოგვარება მოგვეცემს ურყევ და მტკიცე ბაზას მიწის მეურნეობის აუტანელი და მძიმე მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის.

გაუმარჯოს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს! გაუმარჯოს ჩვენს მედვარ, სწორ და მიზან შეწონილ მუშაობას ამ ფრონტზე!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელის უფლებას! (ტაში).

იყო შეკითხვები. მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოხსენების გარშემო კამათი არ გახსნილა.

ბული. ვვალევა ყველა თემკომებს ეს ცირკულიარი განმარტონ პოლიტ-წრეებში, ჩანასახებში და თემის საერთო კრებებზე. ინსტრუქტორს ვვალევა ყოველ ათ დღეში ერთ-

ჯერ დათვალიერება და სამაზრო-კომში ცნობების მიწოდება, თუ რამდენად ასრულებენ წრეები ცირკულიარში ჩამოთვლილ ყველა მუხლებს.

კომსალამით საქ. ახალგ. კომ. კავშირის სე-ნაკის სამაზრო კომიტეტის პ.მ. მდივანი ა. კოკიაია. საავიტ.-საპროპაგანდო განუ. გამ-გის მაგიერ კ. კუპრეიშვილი.

# სავალდებულო დადგენილება

სენაკის მაზრის მ., გლ. და წ.-არმ. საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტისა საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ.

§ 1 საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ფასების გამოსარკვევად ქ. ახალსენაკი იყოფა ორ რაიონად: ცენტრი და განაპირა რაიონი. ცენტრი განისაზღვრება: აღმოსავლეთით—მ. ცხაკაის ქუჩის ორივე მხარით; დასავლეთით—ბარათაშვილის ქუჩის ორივე მხარით; სამხრეთით—ჯავახიძის ქუჩით და ჩრდილოეთით—მთის კალთის ქუჩის ორივე მხარით. ხოლო დანარჩენი ნაწილი ქალაქის შეადგენს განაპირა რაიონს.

§ 2 საბინაო ქირის გადასახადის მხრივ გადამხდლები იყოფიან 16 კატეგორიად:

- 1—კატეგორია: ა) ყველა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ ჯამაგირს საქონლის 5 მანეთამდე;
- ბ) უმუშევრები, რომლებიც წარმოადგენენ შრომის ბირჟიდან სათანადო მოწოდებას, რაც ყოველ თვეში განახლებულ უნდა იქნეს;
- გ) ღარიბი მოწოდებები, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან და არა აქვთ დამოუკიდებელი შრომის ხელფასი.
- დ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი ომისა და შრომის ინვალიდები;
- ე) წითელ-არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები, თუ ქ. ახალ სენაკის მცხოვრებთა რიცხვს ეკუთვნიან.

2—კატეგორია: მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის ხუთ მანეთზე ზევით, მაგრამ არა უმეტესი ათი მანეთისა.

3 კატეგორია:	10—15 მან.	8	35—40 მან.
4	15—20	9	40—45
5	20—25	10	45—50
6	25—30	11	50—55
7	30—35	12	55—60
		13	60—65

14—კატეგორია: ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 65—70 მან. და თავისუფალი პროფესიის პირები (თავისუფალ პრაქტიკის მქონე ექიმები, ინჟინრები, ლიტერატორები).

15—კატეგორია: 70—90 მან.

16—დანარჩენი მოქალაქენი.

§ 3. არა შრომის შემოსავლის არსებობის დროს (ვაჭრობა, კომისიონერობა და სხვა) პირველი 14 კატეგორიის პირების და მათი ოჯახების წევრები უნდა ჩაირიცხონ მე-15-კატეგორიაში.

§ 4. საბინაო ქირის რაოდენობა წესდება სასარგებლო საცხოვრებელი მოედანის კვლადიტიულ არშინზე ჩერვონის მანეთებით შენობების აღიღო-მდებარეობის და კატეგორიების მიხედვით შემდგენს განკვეთით:

	ქალაქის ცენტრ. ნაწ.	განაპირა რაიონებისათვის.
1-ლი კატეგორიის პირებზე	0.3 კ. კვადრ. არშ. თვეში	0.2 კ.
2	0.4	0.20
3	0.5	0.25
4	0.75	0.40
5	1.3	0.7
6	1.55	0.8
7	1.8	0.9
8	1	1
9	2.75	1.35
10	3	1.5
11	3.4	1.7
12	3.8	1.9
13	5.3	2.65
14	6	3
15	9	4.5

16 შეთანხმებით სახლების მებატონეებთან.

შენიშვნა: 1. საბინაო ქირა მუშა-მოსამსახურეებისათვის წესდება ძირითად მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა: 2. სახელმწიფო მამარაგებზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებისათვის ქირა წესდება არა უმეტეს 10 კაპეციისა კვლადიტიულ არშინზე; სამეურნეო ორგანოებისა, კერძო დაწესებულებების, წარმოების და ორგანიზაციებისათვის კი შეთანხმების მიხედვით.

§ 5. ძირითად საბინაო ქირას ემატება, თუ არის:

- ა) მომქმედი ვანა . . . . . 1 პროცენტი.
- ბ) საღარბაზო შესაფალი . . . . . 1
- გ) მუშაბანდიანი გალერეა . . . . . 1
- დ) სამხარეული . . . . . 1

შენიშვნა: გასავლელ ოთახებზე, რომლებიც მხოლოდ აერთებენ ერთ ნაწილს მეორესთან ქირა წესდება როგორც მუშაბანდიანი გალერეებზე.

§ 6. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის ნორმით დაწესებულია 25 კვად. არშინი სულზე. შენიშვნა: ნორმაზე მეტი კაბინეტის (30 კვ. არშ.) დაქვრის უფლებით სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები, პრაქტიკის მქონე ექიმები და აგრეთვე საბჭოთა სამსახურში მყოფი ინჟინრები და ტენიკოსები.

§ 7. დაწესებულებისათვის საცხოვრებელი სივრცის ნორმა არის 9 კვ. არშინი ამ დაწესებულების თითოეულ მუშაკზე (დაწესებულების მტკიცე შტატის მიხედვით), ამ ნორმის ზევით დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და ძირითადი განყოფილების გამგის კაბინეტისათვის დაწესებულია დაქვრის საცხოვრებელი სივრცისა არა უმეტეს 30 კვ. არშინისა თითოეულ კაბინეტზე.

§ 8. სარდაფებზე, ნახევრათ სარდაფებზე და ბნელ შენობებზე ქირა მტკიცდება 50%ით.

## კომკავშირის ეველა თემკომებს და რაიონულ ინსტრუქტორებს.

**ძვირფასო ამხანაგებო!**  
განვლო რამოდენიმე თემ მას შემდეგ, რაც ჩვენი მაზრის ყველა თემებში დაარსდა პოლიტ-წრეები. ამ ბოლო დროს ყველა წრეები იქნენ გადათვლიერებული კომისიის მიერ, რომელმაც მიუთითა ნაკლის გამოსწორებაზე და მისცა მუშაობას ერთგვარი სისტემა; მასთან აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლიტ-წრეებში მეცადინეობას. კომისიის აზრით პოლიტ-წრეებში მუშაობას ხელს უშლიდა ლიტერატურის უქონლობა და სახაფხულო მუშაობა. ამ ბოლო დროს პირველი უზრუნველყოფილ და მეორისაგან თავისუფალი არიან წრეების წევრები. კომისიის აზრით, საერთოდ, პოლიტ-წრეებში მუშაობა სდგას თავის სიმაღლეზე; თუმცა არიან ზოგიერთი პოლიტ-წრეები, სადაც მუშაობა მოისუსტებს. რომ მუშაობა უფრო გულრმავედეს და მას მიეცეს უფრო სისტემატიური სახე, სამაზრო კომიტეტი აცხადებს პოლიტ-წრეების კონკურსს:

1. პოლიტ-წრე, სადაც მეცადინეობა მიღებს სისტემატიურ ხასიათს;
2. რომელშიაც იქნება გამეფებული მტკიცე, ფოლადისებური დის-

ციპლინა;  
3. მეცადინეობაში გაივლიან აგიტ-პროპ-ის დაგზავნილ პროგრამას;  
4. ყოველ თვის ბოლოს კომისიის ჩაბარებენ გამოცდებს დამაკმაყოფილებლად და  
5. ორი თვის განმავლობაში კომისიის ჩაბარებენ პოლიტ-წრის პროგრამით გამოცდებს დამაკმაყოფილებლად შემო აღნიშნული მუხლების მიხედვით,  
1. იქნება გადარიცხული მარქსისტულ წრეში;  
2. აღიღობრივ და ცენტრალურ პრესაში იქნება გამოცხადებული.  
3. პარტ-შკოლებში პირველ რიგში გაიგზავნებიან მისი წევრები;  
4. მუშათა ფაქულტეტში პირველ რიგში მიეცემათ ადგილი და  
5. ყველა ის პოლიტ-წრეები, რომლებიც პირნათლათ შეასრულებენ მათზე დაეღებულ მუხლებს იქნებიან აღნიშნული

**წითელ დაფაზე.**  
მარქსისტული წრეები, რომლებიც გაივლიან პროგრამას ორი თვის განმავლობაში, იქნებიან გადარიცხულნი უმაღლეს მარქსისტულ წრეში და მათზე გავრცელდება ყველაფერი ზევით მოხსენებული



# ქრონიკა

§ 9. პირველ 16 კატეგორიის პირები გადასახადს იხთან ყოველთვის დამლევენ. მუნიციპალიტეტის ქონის სახლების ქირა უნდა შეტანილ იქნას კომუნალურ განყოფილების სალონო-ში, ხოლო აღრიცხვაში აღებულ ოთახების ქირა უნდა ადგილი შენობის მებატონეებს.

§ 10. პირველ 16 კატეგორიის ქირის გადახდის დროს უნდა წარმოადგინონ ცნობა სამსახურის ადგილიდან ჯ. მაგირის რაოდენობის შესახებ, რომელიც თითოეულ სამ თვეში განახლებულ უნდა იქნას. მოწოდების გამკეცი წარმოება და დაწესებულება პასუხისმგებელია ჯამაგირის სისწორით ჩვენებაში.

§ 11. საბინაო ქირის შემდეგი თვის პირველი რიცხვისათვის არ გადახდის შემთხვევაში, არა კეთილსინდისიერი ვალ მსთელები გაძვეულ იქნებიან ბინიდან სასამართლოს წესით.

**შანიშნა:** გაძვეებლად განთავსებული არიან პირველი 16 კატეგორიის პირნი, უკეთეს ქირის დროზე არ გადახდა გამოწვეულია ჯამაგირის დროზე მიუღებლობის მიზეზით.

§ 12. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის მონარჩენზე (დაწესებულ ნორმის ზევით) პირველ 16 კატეგორიის პირთათვის და დაწესებულებათათვის წესდება 50%-ით ხოლო მა-17 კატეგორიისათვის 100 %-ით მეტი აქ განსაზღვრულ ქირაზე.

§ 13. ყველა კონფლიქტი საბინაო ქირის გამო უნდა გაიჩნეს სახალხო სასამართლოში.

§ 14. ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფი არ ვრცელდება სასტუმროებში მცხოვრებ პირებზე.

§ 15. დადგენილება ეს ვრცელდება მარის დებებსა და სოფლებზე.

§ 16. დადგენილება შედის ძალაში ა. წ. 1 ივლისიდან.

სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე **ს. მამულია**,  
კომუნალური განყოფილების გამგე **ო. ოჩივაძე**.

## ს ე ნ ა მ ე რ რ ი ე!

სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ვაზებში არა ერთხელ დაწვრილა მუხურ-ახალ-სენაკს შორის მიმავალ გზა-ტყევის შესახებ. ახალ-სენაკიდან მუხურამდე 52 ვერსტის მანძილია. მუხური და მისი მხარე ეკონომიურად მდიდარია. აქ ბლომად მოიპოვება სოფლის მეურნეობის ყოველნაირი ნაწარმოები: სიმინდი, ღვინო, აბრეშუმის პარკი, თაფლი, სხვა და სხვა ნედლი ტყავეულობა, ოჯახში გაზრდილი წვრილი და მსხვილ-ფეხა საქონლები და სხვა. მთელი მხარე თავიანთი ნაწარმოების გასანადგურად და სამაგეროდ საქირო საქონლების შესაძენად მიდის ქ ახალ-სენაკში. ქალაქთან დაკავშირების საქმეს ძლიერ აფერხებს გზის უფარგისობა და მდ. ოჩხომურზე და ცივზე ხიდების უქონლობა. განსაკუთრებით გაფუჭებულია სახარბელიოში ასავალი აღმართი. ძალიან საქიროა, რომ ამ გზას მიეკუთვნება მთავრობის მხრით სათანადო ყურადღება და ხსენებულ მდინარეებზე იქნებოდეს ხიდები გაკეთებული კარგი გზა-ტყევილი შეუწყობს ხელს თემის წინ წაწევის ეკონომიურად და კულტურულად. მე-XX-საუკუნეში, როდესაც კაცობრიობამ მიასწავა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე პარკობის მხარეში მოგზაურობას, ჩვენ დიდ ბედნიერებათ ჩავთვლით, თუ ჩვენს თემში დავინახავთ დღევანდელ-ეტლებს, რაც გაუღებებს სოფლის მეურნეობას ქალაქთან დაკავშირების საქმეს თავისი ნაწარმოების გასანადგურად და საქირო საქონლების შესაძენად.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### სენაკის მაზრის სახელმწიფო საინფორმაციო სამეულისაგან.

მიმდინარე წლის 30 ივნისს ქ ახალ-სენაკში ნაშუადღევს სამ საათზე საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით დახვედრილ იქნა ქ. ახალ-სენაკის დროებითი და ხორშის თემის ძირითადი მცხოვრები აღექსანდრე (სანდრო) ივანეს-ძე გვასალია.

მიზეზი დახვედრისა იყო შემდეგი: სამაზრო აღმასკომის და საინფორმაციო პუნქტის 1922 წ. 5 აგვისტოს დადგენილებით, ხსენებულ გვასალიას, თანამად მისი სურვილისა, მიენდო ხორშის თემში მოქმედ ყაჩაღთა ბრძოლთან (ხონელია, ბერაია, ძიძავა, კიტია, ქაჯაია და სხვა) ბრძოლა. ამის შესასრულებლად გვასალიას მიეცა რაზმის შედგენის უფლება. ეძლეოდა მას საქირო თანხა და ტყვია-წამალი. განვლო რამოდენიმე თვემ, მაგრამ გვასალიას მუშაობის ნაყოფი არ სჩანდა. სამაზრო ხელისუფლების ორგანოებს სისტემატიურად მოდიოდა უსახელო წერილები გვასალიას მოლაპარაკების შესახებ. მიღებულ იქნა აგრეთვე სარწმუნო წყაროები და ცნობები იმის შესახებ, რომ გვასალიას ქონდა საიდუმლო კავშირი თვით ყაჩაღებთან. საქმისნათელსაყოფად მიმდინარე წლის 10 მაისს გვასალია იქნა დაპატიმრებული. გამოძიებამ დაამტკიცა გვასალიას შემდეგი დანაშაულობანი მშრომელი ხალხის და მუხურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე:

- გვასალიამ მიიღო თავის თავზე ყაჩაღების მოსპობა წინასწარ გაზრახვით ყაჩაღების გადასარჩენად და მატერიალური სარგებლობის მისაღებად. მან დაიკავა კავშირი ყაჩაღებთან; აძლევდა მათ ცნობებს მილიციის მოძრაობის შესახებ; ქონდა მიწერ-მოწერა ყაჩაღ ხონელიასთან მოქ. დიმიტრი ჩარტიას და თედორე გვასალიას საშუალებით ბრალდება მტკიცდება საბუთებით და მოწმეების ჩვენებით). ბ) გვასალია სარგებლობდა მიანიჭებული უფლებებით ბოროტად თავის სასარგებლოთ. იყიდა ნისიათ მოქ. ბიქტორ ძიძავასაგან ძროხა, ფილიპე ჯორჯიასაგან ხარები, ტარიელ გვასალიასაგან ცხენი და სხვა... როდესაც ეს მოქალაქენი მივიდნენ გვასალიასთან ფულის მოსათხოვად, დაიქირა ისინი და ბრალდებათ წაუყენა ყაჩაღებთან კავშირი. ამ გვარ შემთხვევებში გვასალია ათავისუფლებდა დაქურდულებს იმ პირობით, თუ კი ისინი ვალზე უარს იტყოდნენ და ამას არავის არ ეტყოდნენ. (დამტკიცებულია დაზარალებულთა და მოწმეების ჩვენებით).
- დაატუსა და უდანაშაულო მოქ. ივანე და გვალა გვას-ლიები, ვითომდა როგორც ყაჩაღების ხელ-სმენ-წყობნი, და გაათავ-სულა იმ პირობით, თუ კი ისინი მას ჩამოუტანდნენ სენაკში შევას და აკაცის მესრეპ. ეზოს შემოსავლედ. (დამტკიცებულია დაზარალებულთა და მოწმეების ჩვენებით).
- დაატუსადა უდანაშაულო მოქ. ლაქე პეპუ გაბელია, დაპარლა მას კაცის მოკლა ს. ქვალონში და

კომუნალურ გეოფილემში აღმოჩენაში; ხოლო თუ უბინაო თანამშრომლები თვითონ აღმოაჩენენ აღრიცხვაში აღებულ თვისუფალ ოთახებს, კომუნალურ განყოფილებას შეუძლია გასცეს საბინაო ორდერი. დადგენილება ეს და მტკიცებულია სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ 15 ივნისს ა. წ. ოქმი № 25.

**განლიშიგება აღსასრული.**  
სენაკის სამაზრო მილიციის მიერ ამ დღეებში მოკლულ იქნენ ცნობილი ბანდიტ-ყაჩაღები **ბერაია** და **ქიქავა**. ესენი იყვნენ უკანასკნელი ძალები, მათი მოკვლით მასწავლებელ ბანდიტიზმს ეღება ბოლო.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სენაკის სამაზრო აღმასკომი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში მას აქვს გახსნილი მაზრაში სექციო-საკურო-რტო სეზონი შემდეგ ადგილებში:

- 1) „აბანოები“—სოფ. ნოქალაქეში, ქ. ახალ სენაკიდან 18 ვერსტის მანძილზე, ბუნების მშვენიერ მდებარეობაში, მდ. ტეხურის ნაპირზე. მგზავრობა გზატკეცილით. აბანოები ხელახლა შეკეთებულია; შეკეთებულია აგრეთვე სადგომები, სამაზროულო, ხიდი და სხ. არის ექიმური დახმარება. სადგომების რიცხვი 30-მდე არის, რომლებში ოთახები განაწილებულია ოთხ ხარისხად: 1) 8 ოთახი ოთხ-ხუთი საწოლით თითოში; თითო ოთახი ღირს ღირს ღირს რვაასი ათასი მან. II) 15 ოთახი ოთხ-ხუთი საწოლით; თითოში; ღირს ოთხასი ათასი მანეთი თითო ოთახი; 3) და 4) ოთხი ოთახი - უფასო უღარიბეს მოავარაკეთაფის. ბანოები ოთხია. ბანაობა ღირს პირველ და მეორე ხარისხიდან აბანოებში ასი ათასი მან. თითოჯერ. მესამე და მეოთხე ხარისხიდან—ორმოცდაათი ათასი მან. თითოჯერ. წყლის თვისებები: მოქმედებს რევმატიზმის (ქარბის), კუჭის, ნაწლავების და ქალების ავთმყოფობის წინააღმდეგ. სეზონი—15 ივნისიდან ენკენისთვის დამლევამდის ახალი სტილით.
- 2) „**ლუბარდები**“—სძევს მშვენიერ მდებარეობაში, რომლის გარშემო მრავალი ფიჭვნარია და მდინარეები. მისავალი გზა-ტყევილით, სენაკის სამაზრო აღმასკომი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სენაკის სამაზრო აღმასკომის კომუნალური განყოფილება, ამით საუკუფლათაო საუურადღებოდ აცხადებს, რომ ქ. ახალ-სენაკში განახლებულია წინადა არსებული

## მ რ კ ვ ი რ ი უ ლ ი

### ბ ა ზ რ ო ბ ა (იარბარკა).

10-დან—25 ივლისამდის ახალი სტილით (ქვ. სტილ. 27 ივნისიდან—12 ივლისამდის).  
მაზრობაზე დაშვებულ იქნება ჩუულებრივი თავისუფალი ვაჭრობა როგორც ფარბის, ისე უოველგან სოფლის მეურნეობის ნაწარმოებებით და პირუტყვებით.  
გარდა ამისა გაიმართება **„მარულა“** მოკლე მანძილიანი შესაფერი ჯილდოების დანიშნით და ბეჭდი სხვა არა ჩუულებრივი კულტურული გასართობები.  
მარულაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ დაწვრილებითი პირობები გაიგონ უოველ დღე კომუნალურ განყოფილებაში.  
„მარულა“ გაიმართება 22 ივლისს ახ. სტილით.  
კომ. განყოფილების გამგე **ო. ოჩივაძე**.  
ქალაქის სამეურნეო ქ./განყოფილების გამგე **ლ. ჯავახია**.  
საქმ. მწ. **ნ. გეგენავა**.  
4 ივლისი 1923 წ.